საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 2

ქ.თბილისი **09.09.2011**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;
დავით კიკალეიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დიმიტრი ალავიძე - შპს „ვოლ ფაბლიშინგის" სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;
ნანა დალაქიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სასწავლო მასალებისა და დანერგვის დეპარტამენტის უფროსი;
ზაქარია შველიძე - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;
იაგორ კალანდაძე - სს "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუმია - დირექტორის მოადგილე;
ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შუდრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო კოპალეიშვილი - სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსი;
ირმა ნოზაძე - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ ურუშაძე - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენელი - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - ქეთევან ჯინჭარაძე;
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნინო ჟვანია;
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

- ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება, სრული პროფესორი - მარიამ გერსამია;
- ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება, ასოცირებული პროფესორი, „მედია და ახალი ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი დალი ოსეფაშვილი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნინო დურგლიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:10 საათზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო

პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევებისა და კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედია და ახალი ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო მოლეკულური ბიოლოგიის სწავლების ელექტრონული მეთოდების გამოყენებითი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ქართულენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

10. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ განცხადა, რომ დაწესებულებას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ჩაბარდა სხდომის დღეს (2011 წლის 9 სექტემბერს), რის გამოც დაწესებულებამ ვერ მოახერხა დასკვნის გაცნობა და სხდომისათვის მომზადება. შესაბამისად, ნინო ჟვანიამ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების საბაკალავრო პროგრამისა და სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევებისა და

კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხების შემდეგი სხდომისათვის გადადების შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა ნანა ჭიღლაძემ მხარი დაუჭირა შუამდგომლობას.

სხვა შუამდგომლობა სხდომაზე არ დაყენებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგიდან მე-2 და მე-3 საკითხის ამოღებისა და დღის წესრიგის შეცვლილი ფორმით დამტკიცების საკითხი.

საბჭოს წევრებმა შეცვლილი დღის წესრიგი ერთხმად დაამტკიცეს.

I. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო კოპალეიშვილმა.მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამას დაერთოს სწავლების შედეგების რუკა;
- შემუშავდეს მექანიზმი, რომ პროგრამასა და სილაბუსებში მოცემული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები უფრო ნათლად განემარტოთ სტუდენტებს;
- პროგრამა შეივსოს თანამედროვე სასწავლო მასალით, განსაკუთრებით დარგობრივ კურსებში;
- სასურველია, შემუშავდეს დამატებითი მექანიზმი პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებასა და განვითარებაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების შეფასების შედეგების გათვალისწინებით;
- პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ მეტი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საბიბლიოთეკო, მათ შორის ელექტრონული, რესურსების შესახებ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს. მან ასევე განმარტა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები, თუმცა ამ პროცესში ძალიან ცოტა ადამიანია ჩართული. რამდენადაც საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა აგვისტოში დამტკიცდა, სტუდენტების ინფორმირება შეფასებათან დაკავშირებით სრულად ვერ მოხერხდა.

საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, რა ფორმით გეგმავდა დაწესებულება სტუდენტების ინფორმირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის პრაქტიკაში გამოყენებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ყოველკვირეულად განსაზღვრულია საკონსულტაციო დრო - ამ პერიოდში პროფესორები უნივერიტეტში იმყოფებიან და სტუდენტებს კონსულტაციებს აძლევენ. ამასთან, უნივერსიტეტი გეგმავს ელექტრონული პროგრამის შემუშავებას. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით, სტუდენტს წვდომა ექნებათ მთელი სემესტრის განმავლობაში მიღებულ შეფასებებზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

II. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო კოპალეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მართალია, პროგრამისათვის გათვალისწინებულია დამსაქმებლებისა და კურდსამთავრებულების ჩართულობის პრაქტიკა, მაგრამ სასურველი იქნება ამ პრაქტიკის ფორმალიზება;
- დაწესებულებას აქვს წვდომა აკადემიურ ელექტრონულ კატალოგებზე, მაგრამ სტუდენტებმა ამის შესახებ ფაქტობრივად არაფერი იციან. სასურველია მოხდეს მათი უკეთესი ინფორმირება;
- დაწესებუელბაში არსებობს ელექტრონული პორტალი E-learning.tsu.ge, თუმცა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ლექტორების ნაწილი ამ საშუალებას არ იყენებს. სასურველია, შემუშავდეს შესაბამისი მექანიზმი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი სამივე რეკომენდაციას ეთანხმებოდა. ამასთან, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დააზუსტა, რომ დაწესებულება გეგმავს დამსაქმებლებთან ხელშეკრულების გაფორმებას, რაც სტუდნეტებს მისცემს საშუალებას სტაჟირება გაიარონ როგორც ტელე, ასევე ბეჭდურ მედიაში.

საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, მემორანდუმის გაფორმების მიზნით, რა კრიტერიუმებით მოხდებოდა დამსაქმებლების შერჩევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი დამსაქმებლების შერჩევას განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს. მისი განმარტებით, სავარაუდოდ, თითოეული დამსაქმებელი უზრუნველყოფს 20 სტუდენტის სტაჟირებისთვის საჭირო პირობების შექმნას.მთლიანობაში კი 100 სტუდენტი შეძლებს სტაჟირების გავლას. რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, წარმომადგენლის განცხადებით, მასთან დაკავშირებით შემუშავებელი იქნება სათანადო კრიტერიუმები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მემორანდუმებს გააფორმებს მხოლოდ იმ დამსაქმებლებთან, რომლებიც იცავენ ჟურნალისტურ სტანდარტებს, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებელი აუცილებლად იქნება. მისი განმარტებით, კერძო ტელევიზიებთან მიმართებით, შეჩევის კრიტერიუმების ჩამოყალიბება სირთულეს წარმოადგენს. გარდა ამისა, ზოგჯერ

კერძო ტელევიზიები დაწესებულებისგან გარკვეულ ანაზღაურებასაც კი ითხოვენ სტაჟირების სანაცვლოდ. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობას უფრო ხელსაყრელად მიიჩნევს. წარმომადგენლის განმარტებით, სტაჟირების ხანგრძლივობა იქნება თვე-ნახევარი, რადგან მიაჩნიათ, რომ ამპერიოდში სტუდნეტი თავისუფლად შეძლებს თითოეული სეგმენტის სრულფასოვან გაცნობას.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა ყველა სტუდენტი იქნებოდა თუ არა უზრუნველყოფილი სტაჟირების გავლის შესაძლებლობით. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, სტუდენტი სტაჟირებას მეოთხე სასწავლო წელს გაივლის. ამ პერიოდში სტუდენტს უკვე არჩეული ექნება ჟურნალისტიკა 120 კრედიტის ფარგლებში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

III. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედია და ახალი ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო კოპალეიშვილმა.მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მართალია, სტუდენტებს აქვს საერთო ჯამში 15 კრედიტის თავისუფალი არჩევის საშუალება დაწესებულების სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან, თუმცა, სასურველი იქნებოდა მეტი შიდა პროგრამული არჩევანის შეთავაზება;
- დაწესებულებაში არსებობს დამსაქმებლებისა და კურდსამთავრებულების ჩართულობის პრაქტიკა, მაგრამ სასურველი იქნება ამ პრაქტიკის ფორმალიზება;
- დაწესებულებას აქვს წვდომა აკადემიურ ელექტრონულ კატალოგებზე, მაგრამ სტუდენტებმა ამის შესახებ ფაქტობრივად არაფერი იციან. სასურველია მათი უფრო უკეთ ინფორმირება;
- დაწესებულებაში არსებობს ელექტრონული პორტალი E-learning.tsu.ge, თუმცა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ლექტორების ნაწილი ამ საშუალებას არ იყენებს. სასურველია, შემუშავდეს შესაბამისი მექანიზმი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია მისაღებია. ამასთან, ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არის ელექტრონული სისტემის დანერგვის პირველი შემთხვევა. ამ პროგრამაზე სწავლების აღნიშნული მეთოდის გამოყენება ნამდვილად ეფექტურია. მისი განმარტებით, სტუდენტებს გამოცდა ელექტრონული ფორმით ჩაუტარდებათ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედია და ახალი ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრმისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედია და ახალი ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

IV. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო კოპალეიშვილმა.მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

-სამაგისტრო პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი კრიტერიუმია საბაკალავრო ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში. ერთი მხრივ, ეს მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, თუმცა ზღუდავს პროგრამის სამიზნე ჯგუფს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასურველი იქნებოდა აღნიშნული მოთხოვნის მოხსნა და, საჭიროების შემთხვევაში, მისთვის „სასურველის" კატეგორიის მინიჭება;

- მართალია, სტუდენტებს აქვთ საერთო ჯამში 10 კრედიტის თავისუფალი არჩევის საშუალება დაწესებულების სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან, თუმცა, სასურველი იქნებოდა მეტი შიდაპროგრამული არჩევანის შეთავაზება;

-მართალია, არსებობს პროგრამაში დამსაქმებლებისა და კურდსამთავრებულების ჩართულობის პრაქტიკა, მაგრამ სასურველი იქნება ამ პრაქტიკის ფორმალიზება;

-დაწესებულებას აქვს წვდომა აკადემიურ ელექტრონულ კატალოგებზე, მაგრამ სტუდენტებმა ამის შესახებ ფაქტობრივად არაფერი იციან. სასურველია მათი უფრო უკეთ ინფორმირება;

- არსებობს ელექტრონული პორტალი E-learning.tsu.ge, თუმცა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ლექტორების ნაწილი ამ საშუალებას არ იყენებს. სასურველია, შემუშავდეს შესაბამისი მექანიზმი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, პროგრამაში წინაპირობად მითითებულია, რომ პირი უნდა იყოს სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი, თუმცა, შესაძლებელია, მისაღები კონტიგენტი მხოლოდ აღნიშნული მიმართულების კვალიფიკაციის მფლობელი პირებით არ შემოფარგლოს და მისაღები პირების არეალი გაფართოვდეს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

V. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია.

ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებაზე, რომლის მიხედვით პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება აკადემიური ხარისხი – ბაკალავრი გამოყენებით ბიომეცნიერებებში (ბიოტექნოლოგია). აღნიშნულ კვალიფიკაციასთან მიმართებაში თსუ-მ მიმართა შუამდგომლობით სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დანართ №4–ში - „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი" ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, რათა სტუდენტს ბაკალავრიატის დონეზე მიენიჭოს ხარისხი ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის ფარგლებში აღებული ვადლებულების მიხედვით – BSc in Applied Biosciences (Biotechnology) - ბაკალავრი გამოყენებით ბიომეცნიერებებში (ბიოტექნოლოგია).

ამჟამად მოქმედი დანართი №4–ში - „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის" შესაბამისად, გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) არის ქვედარგი სპეციალიზაცია და შესაძლებელს ხდის მხოლოდ სამაგისტრო კვალიფიკაციის მინიჭებას.

საბჭოს წევრმა ცენტრის წარმომადგენელს მიმართა კითხვით და სთხოვა დაეზუსტებინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამ ინიციატივასთან დაკავშირებით, რა რეაგირება მოახდინა ცენტრმაცენტრის განმარტებით, ცენტრმა ეს საკითხი განიხილა და აშკარა წინააღმდეგობა აღნიშნულის თაობაზე არ ყოფილა. სწორედ ამიტომ, ჩარჩოში ცვლილების შეტანის მიზნით, წარდგინება გაკეთდება სამინისტროს მიმართ.

მომხსენებლის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- საბაკალავრო პროგრამაში არ არის მოცემული სტუდენტთა შეფასების სისტემა, თუმცა სტუდენტთა შეფასების სისტემა ცენტრალიზებულად განსაზღვრულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 26 მარტის N36 დადგენილებით დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მიხედვით;

- საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსების უმრავლესობაში გაწერილია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები. 5 კრედიტიან დისციპლინაზე 45 საათი საკონტაქტოა, ხოლო 80 საათი განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისათვის. საკონტაქტო 45 საათიდან 15 საათი

გაწერილია ლექციებისათვის, ხოლო 30 საათი სემინარებისთვის. სილაბუსებში სასწავლო კურსის შინაარსში მითითებულია 1 შუალედური და 1 ფინალური გამოცდა, თუმცა აღნიშნული აქტივობები არ არის გაწერილი საკონტაქტო საათებში. ისინი გაწერილია დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყოფილ საათებში;

- საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი კურსების სილაბუსების უმრავლესობაში დაშვების წინაპირობებში მითითებულია ბაკალავრიატის დისციპლინები, თუმცა, სამაგისტრო პროგრამაში მიღების წინაპირობებში მითითებულია, რომ სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ დიპლომირებულ სპეციალისტებსა და ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებს შემდეგი პროფილით: ბიოლოგია, გამოყენებითი ბიოლოგია/ბიომეცნიერებები, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, ბუნებისმეტყველება, ბიომედიცინა, მედიცინა, ფსიქოლოგია, ეკოლოგია,გარემოსმცოდნეობა, აგრარული/სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თსუ-ში მოქმედებს ერთიანი შეფასების სისტემა, რის გამოც არ მოხდა პროგრამაში დამატებით შეფასების სისტემის გაწერა, თუმცა, მისი განმარტებით, სისტემასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას დაწესებულება მხედველობაში მიიღებს და გაწერს ცალკეულ პროგრამაში

საგამოცდო საათებთან მიმართებაში, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რადგან გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, ამის გამო აღნიშნული აქტივობები არ ასახეს აკადემიური პერსონალის სტუდენტებტან მუშაობის (საკონტაქტო) საათებში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

VI. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო მოლეკულური ბიოლოგიის სწავლების ელექტრონული მეთოდების გამოყენებითი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო კოპალეიშვილმა.მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა კოლაბორატორული ხასიათისაა, თანაც ბრიტანულ უნივერსიტეტთან, რომელიც არ არის ჩართული ბოლონიის პროცესში, აქედან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების კუთხით, ბრიტანული უნივერსიტეტისა და თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის საჭირო გახდება ინტენსიური კონსულტაციების გამართვა.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, სწავლების ელექტრონული მეთოდების გამოყენება განსაზღვრავს პროგრამის სწავლების ფორმატს და არა მის პროფილს, შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი ამაზე აქცენტის გაკეთება პროგრამის სახელწოდებაში.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებულ რეკომენდაციებს

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო მოლეკულური ბიოლოგიის სწავლების ელექტრონული მეთოდების გამოყენებითი სამაგისტრო პროგრამის პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო მოლეკულური ბიოლოგიის სწავლების ელექტრონული მეთოდების გამოყენებითი სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

VII. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ქართულენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო კოპალეიშვილმა.მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ქართულენოვანი) სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ქართულენოვანი) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

VIII. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო კოპალეიშვილმა.მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, სწავლება მიმდინარეობდა თუ არა სრულად ინგლისურ ენაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული გარემოება და განმარტა, რომ სტუდენტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნაB-2 დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა ვინ კითხულობდა პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებს.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, სასწავლო კურსებს უძღვება თსუ-ს აკადემიური პერსონალი, ზოგიერთ საგანში კი შეცვლილია ლექტორი უცხო ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით მისი განმარტებით, პროგრამა გათვლილია როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებზე. საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა 19:31 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე
ნინო ხოფერია

საბჭოს მდივანი
დიმიტრი ალავიძე